ხელშეკრულება №13
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 20 თებერვალი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთოის კლუბი გორი" (ს/კ417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი ტუღუშის სახით და მეორეს მხრივ ი.მ მალხაზ უმეკეშვილის (პრადი ნომერი43001000395) (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთოის კლუბი გორი"-ს საკუთარი სახსრებით მიკრო ავტობუსის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV50113000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტია ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთოის კლუბი გორი"-ს ბალანსზე რიცხული მიკროავტობუსი მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით DIL002 შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2 შესყიდვის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 280 (ორასოთხმოცი) ლარი.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურეობის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 28 თებერვლის ჩათვლით.

4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.(ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტესი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებისა.

6.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 5.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. 10 სამუშაო დღეში.

6.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი გურამიშვილის ქ.5.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის მომსახურების მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის მომსახურეობის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან დაშემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი" –ს მძღოლი გიორგი მინდიაშვილი.

14. სხვა პირობები

14.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"	ი/მ მალხაზ უმეკაშვილი
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მისამართი ქ.გორი შინდისის გზ.2.
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები პროკრედიტ ბანკი
ბ/კოდი TRESGE22	ბ/კ MIBGGE22
ს/კ 417874973	ანგ.GE34PC0143600100034813
	პირადი ნომერი 43001000395
დირექტორი	ი/მ მალხაზ უმეკაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. გორი 20 თებერვალი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთოის კლუბი გორი" ბალანსზე რიცხული მიკროავტობუსი მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით DIL002 შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება, ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ი.მ მალხაზ უმეკეშვილთან ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ფეხბურთოის კლუბი გორი"
დირექტორი — გიორგი ტუღუში

მძღოლი — გიორგი მინდიაშვილი

შესიდვების კოორდინატორი — სვეტლანა ზაუტაშვილი